ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№53

ქ. თბილისი; 20 ნოემბერი, 2019 წ. 17 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვალერი ჭიღლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - ანდრია ბასილაია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვიქტორ წილოსანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი (სამართლებრივი მრჩეველი) - **ნანა აღლემაშვილი**

მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - **გიორგი კიკვიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - **ლევან ჯღარკავა**

სხდომის თავმჯდომარე:

**თინათინ წიბლოშვილი**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარი მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული №01.16.05.027.029 საკადასტრო ერთეულიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და №01.16.05.032.024 საკადასტრო ერთეულიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „ადელინა ასლოევასთვის" (ს/ნ: 01011090323) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. "ქალაქ თბილისში, დელისის მე-3 ჩიხი №22-ის მიმდებარედ არსებული 26კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.14.15.001.399) შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის" (ს/კ: 405187621) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მიმდებარედ 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.877) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალალისთვის" (ს/ნ: 425362341) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. "ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული #1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: #81.02.36.094) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040 საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. "ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N3ზ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, ზემო პლატოს კორპუს N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.019.010.01.078) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, ვასილ თამარაშვილის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.104.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მუხაძის, მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. "ქალაქ თბილისში, დასახლება საქსოფმანქანა, კვარტალი IV, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.088) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. "ქალაქ თბილისში, ქუჩა გმირი კურსანტები, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა - 1 020 000.0 ათასი ლარით, რაც 2019 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, გაზრდილია 92 368.5 ათასი ლარით.

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის განმარტებით, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით, დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრულ იქნა შემდეგი პროგრამები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება -122 046.1 (ას ოცდაორი მილიონ ორმოცდაექვსი ათას ასი) ათასი ლარი, რომლის ფარგლებში მომხსენებლის მითითებით, დაგეგმილია, 1105,7 ათასი კვ.მ გზების კაპიტალური და 693,2 ათასი კვ.მ გზების მიმდინარე შეკეთება;

- ტრანსპორტის განვითარების პროგრამა - 29 858,5 (ოცდაცხრა მილიონ რვაას ორმოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ათასი ლარი;

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 269 046,9 (ორას სამოცდაცხრა მილიონ ორმოცდაექვსი ათას ცხრაასი) ათასი ლარი;

ბატონმა ლევანმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ მიჩნეულია ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (განისაზღვრება 111 348,1 ათასი ლარით), რაც 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 11,281.4 (თერთმეტი მილიონ ორას ოთხმოცდაერთი ათას ოთხასი) ათასი ლარით, აგრეთვე, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში გრძელდება პროგრამები ბიზნესის სტიმულირება, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია და სხვა.

საკითხის წარმომდგენმა ასევე დეტალურად ისაუბრა, მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროექტით დაგეგმილი შემდეგი მნიშვნელოვანი პრიორიტეტების შესახებ, მათ ფინანსურ გააანგარიშებებთან ერთად:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296.3 (ოცდათვრამეტი მილიონ ორას ოთხმოცდათქვსმეტი ათას სამასი) ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 151 695,8 (ასორმოცდთერთმეტი მილიონ ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ათასი ლარი;

• განათლება - 168 559,6 (ასსამოცდარვა მილიონ ხუთასორმოცდაცხრამეტი ათასი ექვსასი) ათასი ლარი. მომხსენებელმა დაამატა, რომ პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას, რომელიც განსაზღვრულია 144 668,9 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დღეის მდგომარეობით ფინანსდება 185 საბავშვო ბაღი. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 15 ბაღის დემონტაჟი და მშენებლობის დაწყება, ასევე გაგრძელდება ავარიული ბაღების შენობების გამაგრება.

• კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 41 835,5 (ოთმოცდაერთი მილიონ რვაას ოცდათხუთმეტი ათას ხუთასი) ათასი ლარი;

• საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 601,2 (ექვსი მილიონ ექვსას ერთი ათას ორასი) ათასი ლარი;

• ქალაქ თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოები-103 442,9 (ას სამი მილიონ ოთხას ორმოცდაორი ათას ცხრაასი) ათასი ლარი.

დასასრულს, ბატონმა ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ გარდა ზემომითითებული დაგეგმილი ღონისძიებებისა, დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, აგრეთვე, მოიცავს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდისათვის სახსრებს - 2 500,0 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის:

მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა - 3 336,3 (სამი მილიონ სამას ოცდათექვსმეტი ათას სამასი) ათასი ლარი;

ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) - 15 345,7 (თხუთმეტი მილიონ სამას ორმოცდახუთი ათას შვიდასი) ათასი ლარი;

თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება - 528,5 (ხუთას ოცდარვა ათას ხუთასი) ათასი ლარი,

ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია - 2 000,0 (ორი მილიონი) ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა - თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ კომისიამ შეიმუშავა სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უფრო გამართული დადგენილების პროექტი, რომელიც თანდართული დოკუმენტის სახით დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ კომისიის მიერ მომზადებული/შემუშავებული დასკვნა, მასზე

თანდართულ დადგენილების პროექტთან ერთად, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, გაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (შემდგომში „EBRD") შორის, 2018 წლის 27 ნოემბერს, გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც მიზნად ისახავს, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად, თანმიმდევრული ნაბიჯების გრძელვადიანი ხედვის გაწერასა და დედაქალაქში ნარჩენების მართვის ევროპული სტანდარტების დანერგვას, გათვალისწინებულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებისათვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა,

ბატონმა გიგა გიგაშვილმა ხაზი გაუსვა, იმ საკითხს, რომ „ევროკავშირთან ასოცირების შესახებ" შეთანხმების, რისგან გამომდინარე ვალდებულებების შესასრულებლადაც, საქართველო აქტიურად ახორციელებს, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ კანონმდებლობასთან, XXVI დანართში მითითებული დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შედეგად მიღებულმა ნარჩენების მართვის კოდექსმა, ნარჩენების მართვის ეროვნულმა სტრატეგიამ და გეგმამ, ნარჩენების მართვის სრულიად ახალი სისტემის დანერგვას ჩაუყარა საფუძველი, მათ შორის, დაადგინა მუნიციპალიტეტების ვალდებულებები ნარჩენების მართვის კუთხით.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, EBRD-ის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია, რომელთანაც თბილისის მერიამ წარმართა მოლაპარაკებები და საბოლოოდ შეთანხმდნენ საკონსულტაციო ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც მოწონებულ იქნა EBRD-ის მიერ და აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარჯების დაფარვის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მზადაა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყოს გრანტი, გამარჯვებული კომპანიის ფინანსური წინადადებით წარმოდგენილი თანხის ოდენობით, რომელიც შეადგენს - 490 390,00 ევროს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და EBRD-ს შორის შეთანხმებული „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის" საგრანტო ხელშეკრულების პროექტი, შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**თინათინ ნიბლოშვილმა** შეკითხვით მიმართა მომხსენებელს, მყარი ნარჩენების მართვის კუთხით, მუნიციპალიტეტის მიერ, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის თარიღთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა (სამართლებრივი მრჩეველი) - **ნანა აღლემაშვილმა** განმარტა, რომ საკონსულტაციო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები დასრულებულია და როგორც კი ხელი მოეწერება საგრანტო ხელშეკრულებას EBRD-თან, დაიწყება იმპლემენტაციის პროცესი.

კომისიის წევრი **ნინო რუხაძე** დაინტერესდა, იმპლემენტაციის პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების განმახორციელებელი სუბიექტის ვინაობის შესახებ.

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მითითებული საკითხი წარმოადგენს სტრატეგიის ძირითად მიმართულებას და გამოცდილი ოპერატორების მხრიდან მომსახურების შეთავაზების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, აღნიშნულთან დაკავშირებით.

**კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა,** რომ მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 პუნქტი, ხოლო განკარგულების პროექტის პირველ მუხლში მიეთითოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის ოდენობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული **შენიშვნების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**3.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - **ვალერი ჭიღლაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი და **წარმოადგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - ლევან ჯღარკავა.**

მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალური ინსპექციის უფროსის კანდიდატურის გამოცდილებისა და საქმიანობის შესახებ და განმარტა, რომ ბატონი ჯღარკავა საქმიანობას ახორციელებდა სხვადასხვა სტრუქტურებში, მათ, შორის წარმოადგენდა შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის მოადგილეს, ხოლო მოგვიანებით კი იკავებდა „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის თანამდებობას.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ბატონი ლევანი გახლავთ პროფესიონალი იურისტი, ასევე, მიღებული აქვს განათლება ეკონომიკის მიმართულებით და აქვს მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის დიდი გამოცდილება.

დასასრულს, მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ბატონ ლევანს წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - გიორგი ჩაკვეტაძემ მხარდაჭერა გამოუცხადა, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე ბატონი ჯღარკავას კანდიდატურას და აღნიშნა, რომ ბატონი ლევანის სამომავლო საქმიანობა, რომელსაც იგი შეასრულებს მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელი პირის რანგში, იქნება ისეთივე წარმატებული და ეფექტური, როგორიც ეს იყო მისი „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის პოზიციაზე მუშაობისას.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა თინათინ ნიბლოშვილმა დადებითად შეაფასა, შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ, ბოლო წლების განმავლობაში, განხორციელებული საქმიანობა და წარმატება უსურვა ლევან ჯღარკავას უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში.

ქალბატონმა თინათინმა ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - ანდრია ბასილაიამ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დედაქალაქში რეგულარული საქალაქო ტრანსპორტის და სპორტის დარგით დაინტერესებულმა ეკონომიკურმა აგენტებმა და დარგის მმართველმა სახელმწიფო უწყებებმა მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველობას და აღნიშნეს, რომ ტრანსპორტისა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გამოყენებადი ძირითადი საშუალებების დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების გამო, მათ უგროვდებათ საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი, შესაბამისად, ითხოვენ გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებას, შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ასევე დაამატა, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა საჭიროებს მოცულობით განახლებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შესაბამისად, მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, რომლის უდიდეს ნაწილს სუბსიდირების სახით გამოყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. მწირი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის კი საჭიროა გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენა.

ბატონ ანდრიას მითითებით, ყოველივე აღნიშნულის შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის მომზადება, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას და დადგენილებას მე-7 პუნქტის შემდგომ, 7[1] პუნქტის დამატებას, რომლის დამტკიცების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოხდება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო ტრანსპორტისა და საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესაბამისად) განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა.

მოხსენების დასასრულს, საქალაქო სამსახურის უფროსმა დაამატა, რომ დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, თუმცა, პროექტის მიღება გავლენას მოახდენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ დადებითად შეაფასა დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილება, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქში სპორტის დარგის განვითარებასა და გაუმჯობესებას.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, აღნიშნა, რომ უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ამასთან, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განმარტებით, ვინაიდან, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებას ემატება $7^1$ პუნქტი, რომლის თანახმადაც, დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (0,001%) გავრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზეც, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, გარდა დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში თარიღის ცვლილებისა, შევიდეს ასევე დამატებითი ცვლილება შინაარსობრივი კუთხით და აისახოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დასაბეგრი ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს - 0,001%-ს.

ასევე სხდომის თავმჯდომარის მითითებით, მიზანშეწონილია ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა $7^1$ პუნქტის დამატებასთან დაკავშირებით(ნუმერაციის ნაწილში).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**5.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული №01.16.05.027.029 საკადასტრო ერთეულიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და №01.16.05.032.024 საკადასტრო ერთეულიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „ადელინა ასლოევასთვის“ (ს/ნ: 01011090323) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, ი/მ „ადელინა ასლოევასთვის“ ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 23 და 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე საკითხის. ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 1 ივნისამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური შეადგენს - 6200 (ექვსი ათას ორასი) ლარს.

ნინო კვეტენაძემ დასძინა, რომ ი/მ „ადელინა ასლოევი“ სარგებლობის უფლებით, იჯარით ფორმით ფლობს უძრავ ქონებას, მდებარე: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N29, ვარციხის ქ. N5, 37.48 კვ.მ. ფართს 2020 წლის 1 ივნისამდე.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ი/მ „ადელინა ასლოევი“-ს გვარი მიეთითოს იმ ფორმით, რა ფორმითაც აღნიშნული მოქალაქის გვარი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა ზემოაღნიშნულ შენიშვნას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დელისის მე-3 ჩიხი №22-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.14.15.001.399) შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის“ ს/კ: 405187621) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, საფეხმავლო კიბის მოწყობის მიზნით, შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის“ ქალაქ თბილისში, დელისის მე-3 ჩიხი №22-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლით;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური შეადგენს - 300 (სამასი) ლარს.

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებული კომპანია მომავალ მესაკუთრედ რეგისტრირებულია მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ: 01.14.15.002.119). ასევე, დაამატა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.15.001.399) იჯარით გაცემა, მასზე შემდგომში საფეხმავლო კიბის მოწყობა მისაღებად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**7.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მიმდებარედ **19 კვ.მ მიწის ნაკვეთის** (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.877) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალალისთვის" (ს/ნ: 425362341) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისასვლელის (პანდუსის) მოწყობის მიზნით,** შპს „ალალისთვის" ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარედ 19 კვ.მ. მიწის, ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლის ვადით;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 460 (ოთხას სამოცი) ლარი.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნულ იურიდიული პირის საკუთრებაშია, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისში არსებული უძრავი ქონება.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, პანდუსის მოწყობა შესაძლებლად იქნა მიჩნეული, ქ. თბილისის საკრებულოს №14-39 დადგენილებით.დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მოთხოვნათა შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**8.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს - 24 009,6 (ოცდაოთხი ათას ცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარის გადახდის ვალდებულებისაგან, მოქალაქე შალვა ასიტაშვილის გათავისუფლების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის თქმით, „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულების შესაბამისად, შალვა ასიტაშვილს, ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება, მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთი, ჭავჭავაძის ქ. N13-ში, პირველ სართულზე არსებული ბინა N2 (ფართობი: 114.39 კვ.მ), შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით, მე-2 სართულზე არსებული ბინა N4 (ფართობი: 113,06 კვ.მ), შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით და სარდაფი (ფართობი: 85,21 კვ.მ), შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის თანახმად, შალვა ასიტაშვილს დაევალა საპრივატიზებო საფასურის გადახდა, ნასყიდობის ხელშეკრულების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებიდან სამი თვის ვადაში - 2012 წლის 7 თებერვლამდე.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ვინაიდან შალვა ასიტაშვილს, ზემოაღნიშნული პირობის დარღვევის გამო, ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 13 თებერვლის N05.27.136 დადგენილებით, მიეცა დამატებითი ვადა ნასყიდობის საფასურის გადახდისათვის და აღნიშნული ვადა გავიდა უშედეგოდ, ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 14 ივნისის N18.57.744 დადგენილების შესაბამისად, ცალმხრივად მოიშალა ქ. თბილისის მერიასა და შალვა ასიტაშვილს შორის, 2011 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება. ხოლო, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა და აღნიშნულ პირს დაეკისრა ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ, 24 009,6 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა. ხოლო, შესაბამის ვადაში, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, შალვა ასიტაშვილის (პ/ნ: 01035000716) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე: ქ. თბილისი, წყნეთი, ჭავჭავაძის ქ. N13, მოვალეთა რეესტრში, გავრცელდა სამართლებრივი შეზღუდვა - ყადაღა.

ამასთან, მომხსენებელმა დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 26/12/2017წ. N48.06.964 განკარგულებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 16.01.2018წ. N1განკარგულების საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დაბა წყნეთში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შალვა ასიტაშვილს შორის გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" 02/03/2018წ. ხელშეკრულება, რითც საკუთრებაში გადაეცა დაბა წყნეთში, ჭავჭავაძის ქუჩა N13-ში, პირველ სართულზე არსებული ბინა N2 (ფართობი: 114.39), მე-2 სართულზე არსებული ბინა N4 (ფართობი: 113,06 კვ.მ) და სარდაფი (ფართობი: 85,21) სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად. ამასთან, ქალბატონმა ნინომ დაამატა, რომ 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებისა და 2018 წლის 2 მარტის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს იდენტური უძრავი ქონება.

ნინო კვეტენაძემ განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერს, 2019 წლის 26 აგვისტოს და 2019 წლის 5 ნოემბერს განცხადებებით, მიმართა მოქალაქე შალვა ასიტაშვილის წარმომადგენელმა და ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ითხოვა, 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს - 24 009,6 (ოცდაოთხი ათას ცხრა

ლარი და სამოცი თეთრი) ლარის გადახდის ვალდებულებისაგან შალვა ასიტაშვილის გათავისუფლება.

დასასრულს, მომხსენებელმა დაამატა, რომ ვინაიდან, ქ. თბილისის მთავრობის 26/12/2017წ. N48.06.964 განკარგულებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 16.01.2018წ. N1 განკარგულების მიღების მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქის ცალკეულ მაცხოვრებელთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათთვის გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვაში ხელშეწყობა და ამასთან, შალვა ასიტაშვილის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს იმ უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო, რომელზე საკუთრების უფლებაც, ამ უკანასკნელს გადაეცა 2018 წლის 2 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს - 24 009,6 (ოცდაოთხი ათას ცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარის გადახდის ვალდებულებისაგან მოქალაქე შალვა ასიტაშვილის გათავისუფლების თაობაზე საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმება.

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, სასურველია დადგენილების პროექტის სათაური ტექნიკური თვალსაზრისით გაიმართოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: №81.02.36.094) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ამხანაგობა „სოფელ შინდისის მოსახლეობისთვის“ ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სატუმბო სადგურის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე გამგეობის მიერ შინდისის მოსახლეობისთვის აშენებული სატუმბო სადგურის ამხანაგობა „სოფელ შინდისის მოსახლეობისთვის“ საკუთრებაში გადაცემა. ამასთან,

ამხანაგობის „სოფელ შინდისის მოსახლეობა“ წევრები თანხმობას აცხადებენ, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მიწის ნაკვეთზე არსებული სატუმბო სადგურის, ამხანაგობისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხზე.

აზრი გამოთქვა:

**თინათინ ნიბლოშვილის** თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“** და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: **N01.19.23.009.076**) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე **სერგო დარბიაშვილის, ნანა მელაშვილის და ლიმანი ლაღაძისთვის,** ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №12-ში არსებული უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**მომხსენებელმა** განმარტა, რომ სერგო დარბიაშვილს ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა **40.25** კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ნანა მელაშვილს - **25.57 კვ.მ** საცხოვრებელი ფართი, ხოლო ლიმანი ლაღაძეს - **71.29 კვ.მ** საცხოვრებელი ფართი.

**საკითხის წარმომდგენმა** დასძინა, რომ ზემოაღნიშნული პირების დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო, ამასთან, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებების თანახმად, სერგო დარბიაშვილი, ნანა მელაშვილი და ლიმანი ლაღაძე 2011 წლიდან დღემდე ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე. ხოლო, სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი შემოწმების ოქმებით დასტურდება ზემოაღნიშნული პირების მითითებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი.

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე და მათ ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში დაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების თაობაზე", ამასთან, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი პროექტის პირველ პუნქტში, სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაური და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040 საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, თამილა გრძელიშვილის, ირინა ლომიძის, ინეზა მაჭარაშვილის და შორენა პიტიურიშვილისთვის, ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ თამილა გრძელიშვილს ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა 37.92 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ირინა ლომიძეს - 35.04 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ინეზა მაჭარაშვილს - 37.79 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო შორენა პიტიურიშვილს - 18.96 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

ქალბატონი ნინოს მითითებით, ზემოაღნიშნული მოქალაქეები დაინტერესებაში არსებულ ფართებში ცხოვრობენ 1998-2002 წლიდან დღემდე. მისივე განმარტებით, აღნიშნული დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილის, სამგორის რაიონის გამგეობის მე-III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტებითა და ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით. ამასთან, დაამატა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე და მათ ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში **(საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013)** მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 ნოემბრის **N19.1190.1514** განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი პირთათვის, ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N3 ბ-ში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ნინო კვეტენაძის მითითებით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი შუამდგომლობით მიმართა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობამ, ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N3 ბ-ში, არსებული უძრავი ქონების დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისთვის: ავთანდილ გურგენიძისთვის-12.73 კვ.მ, ბორის ჭილვარიასთვის-15.81 კვ.მ და 7.13 კვ.მ, უშანგი სვიანაშვილისთვის-7.06კვ.მ, მურმან მეგრელიშვილისთვის-6.97 კვ.მ და 13.46 კვ.მ, გიორგი ბუხრაშვილისთვის-16.46 კვ.მ, ნოდარ კესარელიძისთვის 3.17კვ.მ და 12.65 კვ.მ, ჯუმბერ სამხარაძისთვის-13.55 კვ.მ, ნინო სურამელისთვის-5.98 კვ.მ და 16.84 კვ.მ, გელა დავლაშერიძისთვის-12.54 კვ.მ, რაულ ჯანაშიასთვის-12.76 კვ.მ, ამირან ხვედელიძისთვის-12.68 კვ.მ, ვლადიმერ ოქრიაშვილისთვის 13.79 კვ.მ, თენგიზ ტაგანაშვილისთვის-11.74 კვ.მ, მიხეილ ქურდაძისთვის-3.89 კვ.მ, თამაზ კიკვაძისთვის-12.82 კვ.მ, 28.27 კვ.მ, და 1.91 კვ.მ, გივი ჯაშიაშვილისთვის-17.76 კვ.მ და მირანდა ლევერაშვილისთვის-44.00 კვ.მ, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, აღნიშნულ მოქალაქეებს, 2012 წელს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცათ გარკვეული ფართები, თუმცა არ მომხდარა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების სრულად დაკანონება. გამომდინარე აქედან, მოქალაქეები ითხოვენ დარჩენილი საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას,

მომხსენებლის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილების მიხედვით, დასტურდება რომ აღნიშნული მოქალაქეები ოჯახის წევრებთან ერთად დაახლოებით ოცი წელია მუდმივად ცხოვრობენ, ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N3 ბ-ში. ასევე, გლდანის რაიონის გამგეობის - გლდანის კენტი მ/რ საუბნო განყოფილების წერილებით დასტურდება, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული ოჯახები, 20 წელზე მეტია ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედის" ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმის მიხედვით, დასტურდება რომ წარმოდგენილი 17 ოჯახი ნამდვილად ცხოვრობენ მითითებული მისამართზე 1974-1989 წლებიდან დღემდე და ფლობენ უძრავ ქონებას.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მთავრობის **N19.1190.1514** განკარგულების დანართი 1-ით

წარმოდგენილ პირებს, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში უფიქსირდებათ მხოლოდ 2012 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გადაცემული ქონება.

აზრი გამოთქვა:

**თინათინ ნიბლოშვილის** თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართში მითითებული პირი, განკარგულების პროექტის დანართში უნდა მიეთითოს იმ ფორმით, რა ფორმითაც აღნიშნული მოქალაქე რეგისტრირებულია მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში, შესაბამისად, განკარგულების პროექტის დანართში **„ნოდარი კესერელი"**-ს ნაცვლად მიეთითოს **„ნოდარ კესარელი"**.

გარდა ამისა, **ქალბატონმა თინათინმა** მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, მთავრობის 2019 წლის 13 ნოემბრის N19.1190.1514 განკარგულების მითითების ნაწილში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**13.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, ზემო პლატოს კორპუს N42-ში **(საკადასტრო კოდი: N01.19.20.019.010.01.078)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, ზემო პლატოს კორპუს № 42-ი, ბინა 78 -ში მდებარე უძრავი ქონების **- 35.75 კვ.მ** ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** სოციალურად დაუცველი პირისთვის - ედუარდ ხუხუნაიშვილისთვის გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**მომხსენებლის თქმით,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, სამგორის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობა, დევნილის სტატუსის არმქონე პირისთვის - ედუარდ ხუხუნაიშვილისთვის, მის სარგებლობაში არსებული - 35.75 კვ.მ იზოლირებული საცხოვრებელი ფართის - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

როგორც **ქალბატონმა კვეტენაძემ** აღნიშნა, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილის თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი, დაახლოებით შვიდი წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ამასთან, სამგორის რაიონის გამგეობის III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების ოქმის თანახმად, მოქალაქე ედუარდ ხუხუნაიშვილი, მისი მეუღლე ეკა კვიტაიშვილი და შვილი ლიზი ხუხუნაიშვილი ცხოვრობენ მისამართზე: ქ.

თბილისი, ვარკეთილის ზ/პლატო, კ. 42, ბ. 78. ამასთა, ედუარდ ხუხუნაიშვილი 2011 წლიდან ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებენ მოქალაქეები: თემური ჩხაიძე და ემზარ საყვარელიძე, ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ედუარდ ხუხუნაიშვილის სახელზე გაწერილი კომუნალური გადასახადების ქვითრები, რომლებშიც აბონენტის მისამართად ფიქსირდება - სამგორი, ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, შენობა 42, ბინა 78. ხოლო, სსიპ - საჯარო ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ედუარდ ხუხუნაიშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები და აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად" შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვასილ თამარაშვილის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.104.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქეებისთვის: ანნა პერანიძე-81,94 კვ.მ, თეა თედორაძე-52.70 კვ.მ, თინათინ გიორგობიანი-66.28 კვ.მ, მარიამ კობახიძე -39.49 კვ.მ, რამაზი კიპაროიძე-27.87 კვ.მ, სოფიკო დარჩია-45.93 კვ.მ, ხვიჩა კვარაცხელიასთვის-48.23 კვ.მ, ქალაქ თბილისში, ვასილ თამარაშვილის ქუჩა N38-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N38-ში მცხოვრები ოჯახებისთვის, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქეები ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2005-2006 წლებიდან, რაც დასტურდება, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების მიერ შედგენილი შემოწმების აქტებით, სანოტარო წესით დამოწმებული ამხანაგობა ,,ლოტკინელი"-ს კრების ოქმითა და ნაძალადევის რაიონის გამგებლის ბრძანებით შექმნილი, მოქალაქეთა სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების - სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში

გადაცემის თაობაზე, საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს - განცხადების განმხილველი საბჭოს სხდომის ოქმით.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული ერთ-ერთი პირი არის სოციალურად დაუცველი.

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 ნოემბრის №19.1195.1507 განკარგულების სათაური და პროექტის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ქუჩა მუხაძის, მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 ნოემბრის N19.1194.1508 განკარგულების დანართ N1-ში მითითებული შემდეგი პირებისათვის, ქუჩა მუხაძის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას:

1.სულიკო ახალაია - 44.71 კვ.მ. 2.მინდია ხაჭიპერაძე - 72.06 კვ.მ. 3.თამარ თავდგირიძე - 40.09 კვ.მ. 4.ციური მღებრიშვილი - 29.89 კვ.მ, 5.ნატო ჯავახიშვილი - 50.23 კვ.მ. 6.გოგიტა მღებრიშვილი - 16.80კვ.მ. 7.ივანე მამულაშვილი - 39.61კვ.მ. 8.ანა გამდლიშვილი - 39.49კვ.მ. 9.ლაშა კინწურაშვილი - 19.57კვ.მ. 10.ეკატერინე მაჩიტიძე -69.05კვ.მ. 11.ომალი ხაჭიბერაძე - 13.07კვ.მ. 12.ივანე მჭედლიძე - 87.38 კვ.მ. 13.ირაკლი კუბლაშვილი - 45.06კვ.მ.

მომხსენებლის თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები 2005-2010 წლებიდან ცხოვრობენ, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ საცხოვრებელ ფართებში, რაც დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების მიერ - სამგორის რაიონის გამგეობაში წარდგენილი მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებითა და შემოწმების აქტებით. აღნიშნული პირების უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი ასევე დასტურდება მათი მეზობლების მიერ შედგენილი ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირთა ნაწილი გახლავთ სოციალურად დაუცველი, ამასთან, ერთ-ერთი მოქალაქე ივანე მამულაშვილი წარმოადგენს ომის ვეტერანს, ხოლო ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, თინათინ ნიბლოშვილმა მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ქალაქ თბილისის მთავრობის 2019 წლის 13 ნოემბრის N19.1194.1508 განკარგულების სათაურისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის მითითების ნაწილში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები და პროექტის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, დასახლება საქსოფმანქანა, კვარტალი IV, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.088) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე თემურ ხაჩიძისთვის, ქ. თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, IV კვარტალის კორპუს № 5-ში მდებარე 36 კვ.მ ფართის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, სამგორის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობა, სამგორის რაიონში, დასახლება საქსოფმანქანა, IV კვარტალი, კორპუსი № 5, ბინა № 88-ში, IX სართულზე მცხოვრებ არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე თემურ ხაჩიძისთვის, მის სარგებლობაში არსებული 36 კვ.მ იზოლირებული საცხოვრებელი ფართის ერთ ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან, რასაც ადასტურებენ აღნიშნული მოქალაქის მეზობლები, ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით. ამასთან, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ შედგენილი მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებითა და გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების ოქმის თანახმად, ასევე დასტურდება, რომ მოქალაქე თემურ ხაჩიძე 2002 წლიდან, ოჯახთან ერთად ცხოვრობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება მე-4 კვ, კორ-5, ბინა 88.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, თემურ ხაჩიძისა და ციცინო ხაჩიძის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს, მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის № 19.1144.1436 განკარგულების სათაური, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“ და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები. შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქუჩა გმირი კურსანტები, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ქუჩა გმირი კურსანტები, N1-ში არსებული უძრავი ქონების, მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის N19.1143.1437 განკარგულების დანართი N1-ში მითითებული შემდეგი პირებისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ხუტაშვილი კატუშა-33.82კვ.მ; ბურჯანაძე მანანა-45.15კვ.მ; ამბოკაძე ნანული-25.75კვ.მ; ჩაჩანიძე დავითი - 38.08კვ.მ; კაჩმაზაშვილი ხათუნი-29.36 კვ.მ; იანვარაშვილი ვერა-40.06 კვ.მ; ზერიძე კახა-31.33 კვ.მ; ზერიძე ანეტა-55.42 კვ.მ; ძიგუა ციური-21.54 კვ.მ.

მომხსენებლის თქმით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული პირებისთვის, მათ დაინტერესებაში არსებული ფართების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, ქალბატონმა კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების აღნიშნულ მისამართებზე ხანგრძლივად ცხოვრების ფაქტი დასტურდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნაპერწკალის“ 2019 წლის 14 იანვრის კრების ოქმითა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X-ე განყოფილების მიერ შედგენილი ბინაზე გამოცხადების ოქმებით.

აზრი გამოთქვა:

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა - გიორგი კიკვიძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-97 დადგენილებით დამტკიცებულია სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმები.

ბატონ გიორგის განმარტებით, 2018 წლის 20 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, რომლის მოქმედება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე გავრცელდება 2019 წლის 3 დეკემბრიდან. ხოლო, ახალი კანონის ამოქმედებასთან ერთად ძალადაკარგულად ცხადდება კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ და მის საფუძველზე დამტკიცებული სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმები.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცებას საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ შესაბამისად. ასევე დაამატა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, კერძოდ, სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დაბეჭდვის ხარჯებს.

აზრი გამოთქვა:

**თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია,** დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** ამასთან, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დაამატა, რომ, რომ პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. აგრეთვე, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ იქნეს შემდეგი სახით:

**„საქართველოს კანონი ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"**

**თინათინ ნიბლოშვილმა** განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილ დანართებში ნაცვლად ტერმინისა **,,სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო"** გამოყენებულ უნდა იქნას ტერმინი **„მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო".** აგრეთვე, დაამატა, სასურველია, დადგენილების პროექტის პირველი მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და წარმოდგენილ ოქმის პროექტებში გასწორდეს არსებული ხარვეზები.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა აღნიშნულ შენიშვნებს.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

| | | |
|---|---|---|
| სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი | თ. ნიბლოშვილი | თინათინ ნიბლოშვილი |
| სხდომის მდივანი | | ნინო ჯალაღანია |